მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2022 წლის **სექტემბრის** თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოანგარიშებისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

## სექტემბრის თვე / 2022

**ეტიკეტირებულ ყველის** რამდენიმე თვიანი გაიაფება ფასის საგრძნობი ზრდით დასრულდა.

კერძოდ კი, განსაკუთრებით გაძვირდა იმერული და ქარხნული ყველი

### ეტიკეტირებული ყველის ფასები სუპერმარკეტებში




## სექტემბრის თვე / 2022

### არაეტიკეტირებული ყველის ფასები აგრარულ ბაზარში




ეტიკეტირებული ყველისგან განსხვავებით, აგრარულ მარკეტებში **ყველის ფასი საგრძნობ ზრდას განაგრძობს.**

აგრარულ მარკეტებში ყველზე ფასებმა საგრძნობლად მოიმატა:

- სულგუნზე 8.2%-ით
- იმერულზე 5.6%-ით
- ქარხნულზე კი 4.2%-ით

## სექტემბრის თვე / 2022

საქართველოში **მაწვნის მინიმალური ფასი** საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა, გაძვირება მხოლოდ მცირედით აისახა საშუალო და მაქსიმალურ ფასებზე.

### ეტიკეტირებული მაწვნის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი



## სექტემბრის თვე / 2022

**სექტემბერში საქონლის ხორცზე ფასები საგრძნობლად გაიზარდა,** რაც რამდენიმე ფაქტით აიხსნება: საქონლის არტალის დეფიციტმა მთიან რეგიონებში არაპროპორციულად გაზარდა საშუალო ფასი. ასევე, რძის გაძვირების შედეგად საქონლის დაკვლის ფასიც გაიზარდა.

### ეტიკეტირებული

| | ცვლილება | ფასი |
|---|---|---|
| საქონლის არტალა | 32.7 % ↗ | 18.2 ₾ |
| საქონლის ძვლიანი | 3.6 % ↗ | 21.5 ₾ |
| საქონლის რბილი | 11.2 % ↗ | 29.5 ₾ |
| ხბოს ძვლიანი | 0.0 % ≈ | 20.0 ₾ |
| ხბოს რბილი | 0.0 % ≈ | 29.9 ₾ |

### არაეტიკეტირებული

| | ცვლილება | ფასი |
|---|---|---|
| საქონლის არტალა | 5.0 % ↗ | 11.5 ₾ |
| საქონლის ძვლიანი | 4.3 % ↗ | 17.7 ₾ |
| საქონლის რბილი | 6.3 % ↗ | 20.9 ₾ |
| ხბოს ძვლიანი | 2.5 % ↗ | 19.4 ₾ |
| ხბოს რბილი | 0.4 % ↗ | 20.4 ₾ |

## სექტემბრის თვე / 2022

სექტემბერში **ნედლი რძის ფასი** განსაკუთრებით ცვალებადი იყო. ფასები უცვლელი დარჩა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში, ხოლო მთიან რეგიონებში კი, როგორებიცაა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთი, **საშუალოდ 45 თეთრით გაიზარდა.**

**1 ლ. ნედლი რძის** საშუალო სარეალიზაციო ფასები რეგიონების მიხედვით




## სექტემბრის თვე / 2022

**სექტემბერში საქონლის საკვები საგრძნობლად გაიაფდა,** თუმცა მოსალოდნელია რომ ეს ტრენდი არ გაგრძელდება. შესაბამისად, ფერმერებს შეეძლებათ ზამთრისთვის მოიმარაგონ საქონლის საკვები და თავი აარიდონ გაძვირებული პროდუქტის დაგვიანებით ყიდვას, რაც 2022 წლის თებერვალს მოხდა.

| | ფასი | ცვლილება |
|---|---|---|
| სილოსი | 0.37 ₾ | -2.6 % ↘ |
| თივა | 0.38 ₾ | 0.0 % ≈ |
| იონჯა | 0.59 ₾ | 0.0 % ≈ |
| ქერი | 0.9 ₾ | -10.0 % ↘ |
| სიმინდი | 0.9 ₾ | -18.2 % ↘ |
| ხორბალი | 1.05 ₾ | -4.5 % ↘ |
| სოიოს შროტი | 2.55 ₾ | 2.0 % ↗ |
| მზესუმზირის შროტი | 1.8 ₾ | 0.0 % ≈ |
| ქატო | 0.8 ₾ | -22.3 % ↘ |
| ცხოველის მზა საკვები | 1.63 ₾ | -4.7 % ↘ |



ფასების მონიტორინგი ხდება აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს Land O’Lakes Venture37 საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით.